

მარინე ტურაშვილი
(საქართველო)

**ანდაზისა და სიტყვის მასალის კონტექსტური კვლევის
ზოგიერთი საკითხი**

(ზეპირი ისტორიების მიხედვით)

ზეპირ ისტორიებში, ადამიანების ცხორებისეული გამოცდილებების მონაცემებში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ ფოლკლორულ ჟანრებს, როგორებიცაა: ლეგენდები, თქმულებები, ანდაზები, აფორიზმები, სიტყვის მასალები, ანექდოტები, განმარტებები, შელოცვები და ა. შ. – რაც თანამედროვე ხალხში ფოლკლორის პოპულარობასა და მისადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს.

არქივებში დაცული ან ლექსიკონებში გამოქვეყნებული, კონტექსტიდან განცალკევებული ანდაზებისა და სიტყვის მასალების კვლევისას გარკვეულ სირთულეს ვაწყდებით. ცხადია, რომ მათში ალეგორიული მნიშვნელობა კონკრეტულ ფაქტებთან აღარ არის დაკავშირებული და მხოლოდ ზოგადი აზრი იკითხება, შესაბამისად, შინაარსის სწორად გასაგებად მისი მთლიანობაში გააზრებაა საჭირო, რის საუკეთესო საშუალებასაც მათი ზეპირ ისტორიებში – ტექსტში ტექსტის – კვლევა იძლევა.

ანდაზისა და სიტყვის მასალის ხალხში ფართო გამოყენების საკითხით ჯერ კიდევ ექსპედიციებში დავინტერესდებით, რადგან თხრობისას თითქმის ყველა რესპოდენტი (განსაკუთრებით კი ასაკოვანი ადამიანები) იყენებდა მათ. მოგვიანებით, როდესაც თეორიული მასალის შესწავლა დავინწყეთ, აღმოჩნდა, რომ ამ ორი მცირე ჟანრის კონტექსტური კვლევის აუცილებლობის საკითხზე ჯერ კიდევ 1957 წელს ყურადღება გაუმახვილებია მკვლევარ ფიქრია ზანდუკელს. ნაშრომში „ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთმიმართებისათვის“ ის წერს: „საინტერესოა ის გარემოება, რომ ზემო იმერეთში ვერ ვნახე ვერცერთი მთქმელი, რომელიც ანდაზებს სხვა ჟანრთა ნიმუშების მსგავსად ზეპირად ჩამომითვლიდა. და თუ მომეცა შემთხვევა ანდაზების დაგროვებისა, ეს მხოლოდდამხოლოდ მთქმელთა გარკვეულ ფაქტზე მსჯელობის პროცესში, მათ მიერვე ანალოგიური შემთხვევებისათვის მორგებული ანდაზების მოშველიების საფუძველზე შეიქმნა შესაძლებელი. ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მთქმელები ჩემს თხოვნაზე ჩამოეთვალათ ანდაზები, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილან, თუმცა ისინი საუბრის დაწყებისთანავე მათ (ანდაზებს) ჭარბადაც იყენებენ“ (ზანდუკელი 1964წ: 148-149). ცხადია, რომ ანდაზისა და სიტყვის მასალის ხალხში ფართოდ გამოყენება დაკავშირებულია საუბრისას გარკვეული აზრის დასადასტურებლად ან გასამ-

ყარებლად, ამიტომ მათი სწორი მნიშვნელობა ძირითადად კონტექსტთან მიმართებაში დგინდება.

ნაშრომში წარმოვადგენთ ორი მცირე ჟანრის – ანდაზისა და სიტყვის მასალის – კონტექსტურ ანალიზს. რატომ მაინც და მაინც ამ ორის? ვთვლით, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა რთულია, ვინაიდან ზოგჯერ ანდაზის ერთი ნაწილი დამოუკიდებლად ვრცელდება და სიტყვის მასალად იქცევა. ამასთან, თუ ანდაზა არის ხალხის გამოცდილებასა და დაკვირვებაზე დაფუძნებული ერთნინადადებიანი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც შეგონებითი ხასიათი აქვს და მეტაფორულად კონკრეტულ შინაარსს მიღმა ზოგად არსზე მიგვანიშნებს, სიტყვის მასალა მიმართება ერთ კონკრეტულ პირს და მას ახასიათებს.

თუ საკითხის შესწავლის ისტორიას თვალს გადავავლებთ, მრავალფეროვანი სურათი წარმოგვიდგება. ამ ორი მცირე ჟანრით დაინტერესდა არაერთი მკვლევარი. ჯერ კიდევ 1953 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ძველი ქართული წერილობითი ცნობები ზეპირსიტყვიერი ჟანრების შესახებ“ საინტერესოდ შენიშნა პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა, რომ სიტყვა „იგავი“ ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად გამოყენებულია მოკლე, სამაგალითო მოთხრობების აღმნიშვნელად, აგრეთვე, ანდაზისაც (ჩიქოვანი 1953).

მკვლევარი ფარნაოზ ერთელიშვილი ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, ანდაზის ამოსავალ მნიშვნელობაზე, რომელიც ერთი აქვს, მეორე მხრივ – გადატანითზე, რომელიც მრავალი შეიძლება ჰქონდეს. მეორე მნიშვნელობის მიხედვით კი, ავტორი ანდაზას იგავთან აკავშირებს და მათ შორის განსხვავებად მხოლოდ მოცულობა მიაჩნია (ერთელიშვილი 1957). ანდაზის შესწავლას ასევე საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ (სიხარულიძე 1960).

1964 წელს გამოქვეყნებულ ხალხური სიბრძნის V ტომის შესავალ წერილში მკვლევარმა ლ. ლეჟავამ საგანგებოდ შეისწავლა ანდაზა და აღნიშნავს, რომ ამ ჟანრში ასახულია ხალხის ყოფა და მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს. ავტორი ანდაზებს ალაგებს რვა ჯგუფად: 1. ხალასი ანდაზები, 2. ანდაზური თქმები, 3. აფორიზმული გამონათქვამები, შეგონებანი, 4. სიტყვის მასალა, 5. იგავები, ნაკვესები და თქმულებები, 6. ცრურწმენაზე დამყარებული გამონათქვამები, ადათ-ჩვევების გამომხატველი თქმები, 7. დალოცვისა და დაწყევლის ფორმულები და 8. ხალხური ლექსების ცალკეული ტაეპები და მთელი სტროფებიც (ლეჟავა 1964). ვფიქრობთ, ანდაზის ნართაული ბუნებიდან გამომდინარე, ამგვარი დაჯგუფება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

პროფესორმა ფიქრია ზანდუკელმა საგანგებოდ შეისწავლა ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთმიმართების საკითხი და აღნიშნა, რომ მათ მრავალ მსგავსებასთან ერთად მკვეთრად განმასხვავებელი ნიშნებიც აქვს. ესენია: ანდაზა დასრულებული წინადადებაა, სიტყვის

მასალა წინადადების ნაწილი; ანდაზისათვის დამახასიათებელია ორ და იშვიათად მეტწევრიანობა, სიტყვის მასალისთვის – მხოლოდ ერთწევრიანობა; ანდაზა მხატვრული აზროვნების უშუალო, პირველადი შედეგია, ხოლო სიტყვის მასალა – მეორეული. ამასთან, მკვლევარი სათანადო ანალიზის საფუძველზე გამოყოფს ანდაზის ხუთ სპეციფიკურ ნიშანს: ნართაულობას, ზოგადობას, ზნეობრივ-მორალურ შინაარსს, მუსიკალურობა-მელოდიურობასა და შესრულების წესის თავისებურებას (ზანდუკელი 1964). სწორედ ამ ვითარებას მივაქციეთ ყურადღება, რადგან ვფიქრობთ, რომ ანდაზის, ასევე სიტყვის მასალის შესწავლაში კონტექსტის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია.

მცირე ჟანრებს ასევე საგანგებოდ შეისწავლის მკვლევარი გიზო ჭელიძე და მათ თვისობრივი ერთობის სპეციფიკურ ნიშნებად მიაჩნია: ლაკონიზმი, ფრაზის ექსპრესიულობა, კომპოზიციური ერთპლანიანობა და პოეტური შეკუმშულობა. მცირე ჟანრებზე მსჯელობისას იგი, ასევე, საგანგებოდ გამოყოფს მათ ორ სახეობას: 1. ლირო-ეპიკურს, როგორებიცაა: ნაკვესი, ეპიტაფია, ფიცი, შელოცვა და ა. შ. და 2. ნართაულს, მეტაფორულს, როგორებიცაა: ანდაზა, გამოცანა, აფორიზმი, სიტყვის მასალა, ზმა, იგავი (ჭელიძე 1984).

პროფ. თეიმურაზ ქურდოვანიძე ყურადღებას ამახვილებს ანდაზაში მოცემულ დაპირისპირებულ არსთა წყვილსა და ამ დაპირისპირების შედეგის სახეობრივად გამოხატულ აზრზე. მკვლევარი თვლის, რომ ანდაზების წარმოშობის წყარო, გარდა რეალური ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილებებისა, არის როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე, ლიტერატურული თხზულებები (ქურდოვანიძე 2001). მკვლევარმა ლევან ბრეგაძემ საგანგებოდ შეისწავლა თბილისში 1881-1913 წლებში რუსულენოვან გამოცემაში – „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ – გამოქყნებული ანდაზები და ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა (ბრეგაძე 2020).

ანდაზების გამოქვეყნება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ისინი პირველად დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა 1846 წელს გამოცემულ „ქართულ ქრესტომათიაში“ (ჩუბინაშვილი 1846). ხოლო 1876 წელს ქართული ხალხური ანდაზები წიგნად გამოსცა პეტრე უმიკაშვილმა (უმიკაშვილი 1876). კვლევაში შედარებისათვის გამოვიყენეთ ანდაზებისა და სიტყვის მასალების ორი აკადემიური გამოცემა: „ხალხური სიბრძნის“ V ტომი და პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ II ტომი. მეორეული და კომპარატივისტული ანალიზის მეთოდებით ზეპირი ისტორიებიდან მოძიებული ტექსტები შევადარეთ კრებულებში გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ საარქივო მასალას, რისთვისაც ვისარგებლეთ ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზით (იხ., <http://www.folktreasury.ge/ARPA/>). რაც შეეხება ზეპირ ისტორიებში გამოქვეყნებულ საკვლევ მასალებს, ერთი მხრივ, ვისარგებლეთ 2011 გამოცემული კრებულით „ათასწლეული

ინტერიერში“; მეორე მხრივ, ჩვენ მიერ 2009 წელს განხორციელებული ექსპედიციის ფარგლებში ჩანერილი ვიდეომასალებით, რომლებიც დაარქივებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში შიფრით ფა1კ1 და, მესამე მხრივ, გამოუქვეყნებელი ინტერვიუებით.

რა არის ანდაზა? ანდაზა არის დასადასტურებლად გამოყენებული რიტმულად აწყობილი ზოგადი ხასიათის ერთნადადებიანი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც დიდაქტიკური შინაარსი მინიშნებითაა გადმოცემული. ამასთან, ზეპირი ისტორიის მეთოდით ჩანერილი მასალის შესწავლა საყურადღებო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალება მოგვცა მას კონტექსტში დავკვირვებოდით, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის თვალსაზრისით სიახლეა. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ანდაზას გაქვეავებული ფორმა აქვს, რადგან ზეპირ ისტორიებში მისი შესწავლა მის ვარიაციულობაზე მეტყველებს.

კვლევისასაა ზეპირ ისტორიებში სხვადასხვა თემატიკისა და შინაარსის ანდაზები მოვიძიეთ. განსაკუთრებული ვარიანტულობით გამოირჩევა ილია ბუხაჩაურის ნათქვამი ანდაზა, რომელსაც ბევრი ვარიანტი აქვს: „ყვავი ყვავს დაცინოდა, ზაგარი სად მიიღო“. კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ანდაზა გამოხატავს მსგავს სიტუაციაში მყოფი ორი ადამიანის მდგომარეობას მაშინ, როცა ერთი მეორეს შენიშვნას აძლევს: „– რა მოგივიდა ბიჭო სახეზეო? – რა ვიცი-მეთქი, რა ვიცი, ტანკმა გაისროლა და დამენვა-მეთქი. – მერე, შე უბედურო, რა გაცინებსო?! – რა ვიცი, მეცინება-მეთქი. განა მინდოდა სიცილი, თავისით მეცინებოდა. მერავი, იმ მომენტში რა, რო მოვდიოდი. – რა გაცინებს, ნადი, მოშორდი აქედანო! რა გაცინებს, სასაცილოდა გაქვს საქმე, ჩაიხედე სარკეში, რას გავხარო. არადა, ჩემზე უარესად ის იყო კიდევ. **ყვავი ყვავს დაცინოდა, ზაგარი სადმიიღო.** ეგეთი რალაც იყო“ (ბუხაჩაური 2009; ფა1კ1ემ001ვფ016 – 47:32-47:58 წთ). აღნიშნული ანდაზის სამი ვარიანტია გამოქვეყნებული „ხალხურ სიბრძნეში“: **„ყვავმა ყვავს წასძახა: ჰაი, შე ყრანტალაო“, „ყვავმა ყვავს დასცინა: „ყრინტიო“ და „ყვავმა ყვავს უთხრა: აი, შე კუდსკლინტიანო!“** (ხალხური სიბრძნე 1965: 183). მისი ერთი უმნიშვნელოდ განსხვავებული ვარიანტი, ასევე, გამოცემულია პეტრე უმიკაშვილთანაც: **„ყვავმა ყვავს უთხრა, იქით მიიწი, შე სკლინტიანოვო“** (უმიკაშვილი 1964: 260). ფოლკლორის არქივის მონაცემთან ბაზაზე დაყრდნობით მოვიძიეს საანალიზო ანდაზის სამი გამოუქვეყნებელი საარქივო ვარიანტიც. ორი მათგანი დაცულია პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში, ორივეს ჩამწერი არის ეფრემ გოძიაშვილი, მაგრამ სხვადასხვა დროს: **„ყვავმა ყვავს უთხრა: იქით მიიწივე, შე სკინტიანოვო“** (ფაუფ1943 გვ16-16 – ID 24966) და **„ყვავმა ყვავს უთხრა: «იქით მიიწი შე სკინტიანოვო»“** (ფაუფ2919 გვ24-12 – ID 27793, გრემისხევი). საანალიზო ანდაზის კიდევ ერთი ვარიანტი ჩანერილია 1963 წელს აბროლაურის რაიონში, სოფელ ირში ქიტიაშვილი ეთერის მიერ:

„ყვავმა ყვავს წასძახა: შე ყვანჩლიანო!“ (ფაი159 გვ200-8 – ID 32184), ხოლო მეორე ზუსტად იდენტური ტექსტი – 1957 წელს იმავე ადგილზე ვინმე ანგი გაგნიძის მიერ (ფაკ161 გვ378-13 – ID 32452).

ერთდროულად ორი ანდაზა ზუსტი ინტერპრეტაციით აქვს გამოყენებული მართიკო ხახუტაშვილს თავის ზეპირ ისტორიაში: **„ძილი მქონდა უყვედური, მან გამხადა უბედურიო“** და **„დილით ამდგომს უხაროდეს, გვიან მოსადილეო“** – რომლებსაც მას ბებია ეუბნება: „თავზე მევლებოდა ბაბო. დილით არ მალვიძებდა, წავიდოდა, იმუშავებდა და რომ მოვიდოდა, მეტყოდა: – გოგო, გაიღვიძე გოგო! – მერე დაჯდებოდა და პურსა ჭამდა, – ძილი მქონდა უყვედური, მან გამხადა უბედურიო. – ეგრე იტყოდა ხოლმე, ხან სიმღერით იტყოდა, – დილით ამდგომს უხაროდეს, გვიან მოსადილესაო“ (ხახუტაშვილი 2011). პირველი ანდაზის განსხვავებული ვარიანტი გამოქვეყნებულია, ერთი მხრივ, „ხალხურ სიბრძნეში“: **„ძილი მქონდა უყვედური, თავი მქონდა უბედურიო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 205) და ზუსტად იგივე ვერსია ჩანერილია სულხან ქეთელაურის მიერ თეთრწყლებში ვინმე პავლე იანვარაშვილისაგან 1961 წელს. რაც შეეხება მეორე ანდაზას, მისი იდენტური ვარიანტი 1930 წელს ჩაუნერია ვინმე მ.იაშვილს ახალციხეში (ფაა05618 – ID 6736), ხოლო განსხვავებული ვერსია გამოქვეყნებულია „ხალხურ სიბრძნეში“, სადაც სიტყვა „მოსადილე“ ჩანაცვლებულია „მოხადილეთი“: **„ადრე ამდგომს უხაროდეს, გვიან მოხადილესაო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 22). იქვე შემდგენელს ეს სიტყვა განმარტებული აქვს შემდგენიარად: „მოხადილე – ვინც ხადილობს, ვინც ხადილს იხდისო“ (ხალხური სიბრძნე 1965: 526).

ანდაზის: **„კაცი თავის ბედს ვერ გაქცევას“** (ხალხური სიბრძნე 1965: 60) – ფორმით განსხვავებულ, მაგრამ შინაარსით მსგავსს იყენებს ილია ბუხაჩაური საუბრისას: „რო გაქვს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რო წახვიდე და ნყალს გაატანო. ხოდა, რა ვიცი, ამათ თავის საქმისა თვითონ იციან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ თავს დავიცავთ რა. **მოსახდენი მაინც მოხდება“** (ბუხაჩაური 2009; ფა1კ1ემ001ვფ016 – 33:15-33:27 წთ). კონტექსტი ცხადყოფს, რომ რესპოდენტმა ეს ანდაზა გამოიყენა იმ მნიშვნელობით, რომ რაც არ უნდა მოინდომოს ადამიანმა, მოსახდენს მაინც ვერ აიცილებს.

ვარიანტულობით გამოირჩევა ანიკო ხარებაშვილის მიერ ნათქვამი ანდაზა: „საწყალი ადამიანის მშველელი ღმერთი არიო“ – რომლის კონტექსტი ასეთია: „მერე ავდექი და სანამ ჩემი შვილი ჩამოვიდოდა, მეზობელს ვუთხარი: – ესეთი სიზმარი ვნახე და როგორ მოვიქცე, როგორ წავიდე სალოცავის კარზე, როცა არც ფქვილი მაქვს, არც ღვინო. ორად ორი ქათამი მყავს და მარტო იმითი როგორ წავიდე-მეთქი. – ესენიც, ჩემმა დამ კრუხი დამისვა და მარტო ეს ორილა – დედალ-მამალი გავზარდე. ეს იმ ქალის ქმარმა გაიგო და ცოლს უთხრა: – თამარ, გაავსე ერთი ვედრა ფქვილით და ანიკოს გაატანეო. აი, ნათქვამია: **საწყალი ადამიანის მშველელი ღმერთი არიო** (ათასწლეული ინტერიერში 2011: 243). აღნიშნული

ანდაზის სამი ვარიანტი გამოქვეყნებულია „ხალხური სიბრძნის“ თემატურ ჯგუფში: **„საწყალ კაცს ღმერთი არ დაკარგავსო“**, **„საწყალ კაცს ღმერთი წყალობსო“** და **„საწყალი კაცის ნუგეში ღმერთიაო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 266). ამავე თემატურ ჯგუფშია გამოქვეყნებული: **„კაცს სადაც მტერი ჰყავს, იქ მოკეთეც ჰყავსო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 257) – რომელიც ამავე რესპოდენტმა პირველი პირის ფორმით ჩაანაცვლა: „ერთი მომაგრებული აგრონომი გვყავდა. შილდაში კი ცხოვრობდა, მაგრამ სხვა მხრიდან იყო. იმან გამაფრთხილა: – რაც არ უნდა გითხრან, ხელი არაფრით მოაწერო. ნათქვამია: **საცა მტერი გყავს, იქ მოკეთეცა გყავსო**. არ მოვანერე და არ მოვანერე ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მაძალებდნენ. როგორც დამარიგეს, ისე ვუთხარი“ (ათასწლეული ინტერვიუში 2011: 253).

ობლობა ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენაა და, რა თქმა უნდა, არც ამ თემასთან დაკავშირებული ანდაზა დარჩა რესპოდენტთა ყურადღების მიღმა. ზინა სტეფანიშვილი ყვება: „ძალიან გვიჭირდა, რო დედა არა გვყავდა. რო პატარები დავრჩით ძალიან. მამამ რო მოიყვანა დედინაცვალი, რა თქმა უნდა, **დედა რო დედინაცვალია, მამაც მამინაცვალიაო**. დედინაცვალი, რა თქმა უნდა, თავის შვილებისთვის უფრო იყო გადანეული, ვინემ ჩვენსკენ“ (სტეფანიშვილი 2009; ფა1კ1ემ-001ვფ015 – 01:30-01:59 წთ). შევეცადეთ, მოგვეძებნა აღნიშნული ანდაზის ვარიანტი, თუმცა ზუსტი შესატყვისი ვერ ვიპოვეთ ვერც გამოქვეყნებულ და ვერც საარქივო მასალაში. „ხალხურ სიბრძნეში“ გამოქვეყნებული ყველაზე მიახლოებული ვერსია ასე ჟღერს: **„დედინაცვალი დედობას ვერ იზამსო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 60). ამავე თემას ეხება მანანა (ციცო) გაზაევაც. ის ამბობს: „ოთხი-ხუთი თვისა ვყოფილვარ, გურჯაანის საავადმყოფოში მოგხვედრილვარ. გაციებული ვიყავი თურმე და ცოცხალ-მკვდარი მიმიყვანეს. დედინაცვალს რა ენაღვლებოდა, თავისი საკუთარი მოუკვდა და მე დიდად არ ვჭირდებოდი. ალბათ, ასე გადამხადა, რომ გავციებულიყავი და მოვმკვდარიყავი. ასე დავაადდი. დღემდე ბრონქიტი მაქვს ქრონიკული. ალბათ, რაღაც ძალა არსებობს – **ობოლს თავის ანგელოზი ჰყავს მფარველი**, დედინაცვლის ჯიბრზე მაცოცხლებს“ (გაზაევა 2011). ეს ანდაზა გამოქვეყნებულია „ხალხურ სიბრძნეშიც“ (ხალხური სიბრძნე 1965: 262), პეტრე უმიკაშვილთანაც უმიკაშვილი 1964: 245) და ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაშიც (ფაა06789 – ID 9185) თუმცა ყველგან „ანგელოზის“ ნაცვლად „ღმერთია“ გამოყენებული: „ობლის მამა ღმერთიაო“.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად მიიქცია ყველაზე პატარა რესპოდენტმა, 13 წლის გიორგი კვიციანიძემ, რომელიც ყვება თავისი მუყაითობის შესახებ და იქვე ურთავს მამის დარიგებას: „მე ყოველ დღე ბევრს ვმუშაობ ბაღში. ყველაფერს მოვლა უნდა. რასაც მოუვლი, ყველაფერი კარგია. მამაჩემი სულ მეუბნება, რო ვიღვლები ხოლმე, ბევრი ოფლი გამდის ხოლმე და მამაჩემი სულ მეუბნება, რო: – **ოფლი ვისაც გასდის**“.

სო, იმას ბევრი ფული ააქო და ვისაც არა კიდევ, ის მშიერი არიო. სუ ყოველ დღე აი, სუ ვმუშაობთ“ (კვიჟინაძე 2009; ფა1კ1ემ001ვფ024 – 40:14-40:28 წთ). ჩვენ ამ ნათქვამის ზუსტი შესატყვისი ანდაზა ვერ ვიპოვეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი ვარიანტი უნდა იყოს „ხალხურ სიბრძნეში“ თემატურ ჯგუფში „აფორიზმული გამონათქვამები, თქმები“ გამოქვეყნებული ორი ტექსტი: **„ვინც არ შრომობს, არც ჭამს“** და **„ვინც შრომობს, ქონება იმასა აქვსო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 248). ასევე, შინაარსობლივად მასთან ახლოსაა შემდეგი ოთხი ანდაზა: **„ვინც არ გაირჯება, პურსაც ვერ მიწვდებაო“**, **„ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჭამა კოტორი“**, **„თითონ ავწევ გოდორსაო, თითონ ავჭკმეჭ კოტორსაო“** და **„ასწიე გოდორსაო, დაჭკმიჭე კოტორსაო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 73). მეორე ანდაზის ზუსტი შესატყვისი ასევე გამოქვეყნებულია ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში და მისი მთქმელია ვინმე მესხი (ფავ2/1 132-163 – ID 14643).

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში ალექსანდრე კანტროშვილის მიერ საუბრისას გამოყენებული ინტერპრეტირებული ცნობილი ანდაზის სამი ვარიანტი აღმოჩნდა. რესპოდენტი ამბობს: „მეცინება არასნორ ორგანიზაციურ პოლიტიკაზე. რას მიქვია პოზიცია? ვინ არი ოპოზიცია? ის მიიყვანე, დაისვი, კაცო, **კაცი რომ ცუდს გეტყვის გაიგე, გეტყვის ამავებ, ის შენი ის არი, მოყვარე, მოყვარეა**. ის არი საშიში, აი ვინც...“ (კანტროშვილი 2009; ფა1კ1ემ001ვფ007 – 23:22-23:34 წთ). რა თქმა უნდა, მკითხველი ერთი შეხედვითვე მიხვდება, რომ აქ ცნობილი ანდაზა: **„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო“** – იგულისხმება, რომლის მეორე ვარიანტიცაა გამოქვეყნებული: **„მოკეთემ პირში უთხრა, მტერმა უკან უძრახაო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 125). საინტერესოა ამ ანდაზის საარქივო ვარიანტებიც. ყველაზე ძველი გ. არჯევანიძის მიერ ჩანერილი ვერსია განთავსებულია ე.წ. არქაულ ფონდში და მიუხედავად იმისა, რომ თარიღი ცნობილი არაა, კოლექციის მიხედვით ვადგენთ, რომ ჩანერილი უნდა იყოს 1930-1959 წლებში: **„მოყვარეს პირში უძრახვენ და მტერს პირს უკანაო“** (ფაა06728 – ID 8395). ასევე უთარილოა მეორე ტექსტიც: **„მტერს უკან უზრახვენ და მოყვარეს პირშიო“** (ფავ2/2 გვ79-16 – ID 13792), რომლის თარიღის დადგენაც ასევე კოლექციის მიხედვით შეგვიძლია, რადგან ის განთავსებულია მე-20 საუკუნის 30-70-იან წლებში განხორციელებული სამივლინებო მუშაობის შედეგად შეკრებილ მასალებში, ე. წ. ვარლამ მაცაბერიძის სახელობის ფონდში. რაც შეეხება მესამე, შემოკლებულ ვარიანტს, ის ჩანერილია 1964 წელს ნანიკაშვილი ნათელას მიერ: **„მოყვარეს პირში უძრახე“** (ფას229 გვ87-1 – ID 1908).

ძალიან ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე – ქმარი ავარიამი დაეღუპა და დედამ თავი მოიკლა – ახალგაზრდა რესპოდენტი სრულად ლოგიკურად იყენებს ცნობილ ანდაზას: „არ ვიცი კიდევ როგორ გავუძელი დედაჩემის ასეთ მდგომარეობაში დანახვას, იმიტომ რომ დედა ჩემთვის ყველაფერი იყო... რომ ჩამოვიდოდი ხოლმე თბილისიდან... ჩავუნვებოდი

ხოლმე სანოლში და ესე ერთად ჩახვეულები ვიყავით. ესე ვჭუკჭუკებდით ხოლმე, ვსაუბრობდით. დედა ჩემთვის ყველაფერი იყო. მით უმეტეს ჩემი მეუღლის მერე კიდევ უფრო მეტად უახლოესი ადამიანი გახდა. ის მამაგრებდა მე, რომ მე უნდა გამეზარდა შვილები და არ უნდა მეფიქრა, რაზეც ვფიქრობდი. ვერ ვეუბნებოდი, მაგრამ ხვდებოდა, რომ დღითიდღე ცუდად ვხდებოდი და ალაც ფიზიკურად შემეძლო და აღარც სულიერად, ვერ ვუმკლავდებოდი ამხელა ტრაგედიას. არ ვიცი, კიდევ როგორ გადავრჩი და ნათქვამია, რომ **უფალი ჭირს თუ აძლევს ადამიანს, გაძლებასაც აძლევს** და, ალბათ, ეგ დამეხმარა მაშინ. არ ვიციოდი მაგდენი, 25 წლის ვიყავი“ (მჭედლიშვილი 2009; ფა1კ1ემ001ვფ013 – 01:21:43-01:22:03 წთ). მისი ვარიანტები გამოქვეყნებულია „ხალხურ სიბრძნესა“: **„კაცს იმდენი ჭირი უნდა მიადგეს, რამდენსაც აიტანსო“** და „ღმერთმა იმთვენი განსაცდელი ნუ მიაყენოს კაცს, რამთვესაც აიტანსო“ (ხალხური სიბრძნე 1965: 104) და პეტრე უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“: **„კაცს იმდენი ჭირი ნუ მიადგეს, რამდენსაც იხდისო“** (უმიკაშვილი 1964: 237), რომლის საპასპორტო ინფორმაციას ადვილად ვადგენთ ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზიდან. ტექსტი ჩანერილია 1888 წელს ეფრემ გოდიაშვილის მიერ (ფაუფ1943 გვ8-11 – ID 24833).

ქართველებისთვის სტუმარმასპინძლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიციაა. ალექსანდრა კვარაცხელია სტუმარს ბარაქას უწოდებს: „ახლა ჩემს ოჯახს პატარა ფერმა აქვს: ოთხი ძროხა, ოთხი დედა ღორი, ქათმები... ფერმა ერთ დანგრეულ ნაგებობაში მოვანყეთ, ჩვენს კორპუსთან ახლოს. აივნიდან ვხედავთ კიდევ. უკვე თითქმის ძველებურადაც შემიძლია სტუმრის მიღება, ელარჯითაც გავუმასპინძლდები და ჭვიშტარითაც. **სტუმარი ბარაქაა ოჯახში, მიყვარს სტუმარი.** საკუთარმა მეურნეობამ მეტი რწმენა მოგვცა, კაცმა გული არასოდეს არ უნდა გაიტეხოს“ (კვარაცხელია 2011). ამ გამონათქვამის ვრცელი ანდაზა გამოქვეყნებულია ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში: **„სტუმარი მოვა და წავა, სახლსა ბარაქა ექნება“** (ფაკ174 გვ108-5 – ID 19422), რომელიც ჩანერილია 1962 წელს დედოფლისწყაროში ვინმე ა. ნიკლაურისაგან ი. ჟამიაშვილის მიერ. ვფიქრობთ, ამ ანდაზასთან შინაარსობრივად ახლოსაა „ხალხურ სიბრძნეში“ „აფორიზმული გამონათქვამები, თქმების“ თემატურ ჯგუფში გამოქვეყნებული ორი ტექსტი: **„სტუმარი ღვთისაა“** და **„სტუმარი ძალღიჯ არ გაიგდება გარეთო“** (ხალხური სიბრძნე 1965: 269).

რაც შეეხება სიტყვის მასალას, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ის ფორმითა და შინაარსით ძალიან ახლოსაა ანდაზასთან, მისი მონათესავე ჟანრია. თუ ანდაზა დასრულებული წინადადებაა, სიტყვის მასალა მისი ნაწილია. მას მოსწრებულ სიტყვასაც უწოდებენ. ნაშრომში „ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის“ მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი ამ ორი ჟანრის ურთიერთმიმართებისას მათ შორის განსხვავებებს სათანადო მაგალითების მოხმობით წარმოაჩენს. მკვლევარი პირველ გან-

მასხვავებელ ნიშნად მათ ფორმალურ აღნაგობას გამოყოფს (ანდაზა დასრულებული წინადადებაა, სიტყვის მასალა – წინადადების ნაწილი); მეორე განმასხვავებელი ნიშანი კი მათში ლოგიკურ ნევრთა სხვადასხვა რაოდენობაა (ანდაზისთვის დამახასიათებელია ორ და იშვიათ შემთხვევაში მეტნევრიანობა, ხოლო სიტყვის მასალისთვის – ერთნევრიანობა); მათ შორის არის მესამე განმასხვავებელი ნიშანიც – სიტყვის მასალა მოკლებულია დასრულებულ მსჯელობა-დასკვნის უნარს, მაგრამ გადაკვრით მიგვანიშნებს ზოგად მნიშვნელობაზე (ზანდუკელი 1964).

ჩვენ მიერ დამუშავებულ ზეპირ ისტორიებში, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოვიძიეთ სიტყვის მასალებიც. მაგალითად: **„რა დაგიდია, რას ეძებ?“** საანალიზო მოსწრებული თქმა კონტექსტში ანიკო ხარებაშვილს ამგვარად აქვს გამოყენებული: „ჩემით მომყავს ცოტა ხახვი, ცოტა ნიორი, ცოტ-ცოტა ყველაფერი. ეხლაც ბაღში ვიყავი, მწვანილი მედგა, ბურბურებდა. ვედრო და დანა წამოვიღე, დავკრეფავ და ვჭამთ-მეთქი, მაგრამ **რა დაგიდია, რას ეძებ?** ისე მოუჭამია საქონელს, სულ ძირიანად არის ამოთხრილი“ (ათასწლეული ინტერვიუში 2011: 251-252). საანალიზო სიტყვის მასალა ასევე გამოქვეყნებულია „ხალხურ სიბრძნის თემატურ ჯგუფში“ „სიტყვის მასალა და ფრაზეოლოგია“, მაგრამ იქ „დადების“ ნაცვლად სიტყვა „დაგიკარგავს“ არის გამოყენებული: **„რა დაგიკარგავს, რას ეძებ?“** (ხალხური სიბრძნე 1965: 296).

„აირია მონასტერი!“ – ეს სიტყვის მასალა ზუსტად ისე აქვს გამოყენებული ნათელა აგირბას, როგორც ის „ხალხურ სიბრძნეში“ (ხალხური სიბრძნე 1965: 296) გამოქვეყნებული და კონტექსტის ამგვარივე აღქმის საშუალებას გვაძლევს. „იცით, აფხაზეთი რალაცნაირად დანაწილდა: იქედან – რუსეთი, აქედან – ოსეთი, იქეთ – ჩეჩნეთი, აქედან – სომხები და, რომ იტყვიან, **აირია მონასტერი**. ვინ რას აკეთებდა, ვინ რა გაძარცვა და ვინ რა დაკარგა, პასუხს ვერავის მოსთხოვ ამ დროს“.

ამრიგად, გაანალიზებულმა მასალამ ცხადყო, რომ ანდაზა და სიტყვის მასალა ხალხში ფართოდ გამოიყენება საუბრისას გარკვეული აზრის დასადასტურებლად ან გასამყარებლად, კონტექსტში მათმა შესწავლამ კი საშუალება მოგვცა, სწორი შინაარსი დაგვედგინა. ზეპირ ისტორიებში მოძიებული და შედარებითი ანალიზის მეთოდით დამუშავებული ანდაზები და სიტყვის მასალები შინაარსობრივადაც საინტერესო აღმოჩნდა. რესპონდენტებმა სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ფოლოსოფიურ საკითხებზე საუბარში ჩართეს სწორად შერჩეული ანდაზა ან სიტყვის მასალა. ამასთან, გამოიკვეთა ამ ჟანრების ვარიანტების სიმრავლეც. რამდენიმე მაგალითის გარდა, რომლებიც შინაარსობრივად მიახლოებულ ტექსტებს შევუდარეთ, დადგინდა თითქმის ყველა მოხმობილი ნიმუშის ზუსტი შესატყვისი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გამოუქვეყნებელ საარქივო ტექსტებთან მათი განხილვა.

მოძიებული და დამუშავებული მასალა ცხადყოფს, რომ დღესაც ცოცხალია და თანამედროვე ხალხის ყოფასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფოლკლორის ისეთი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ჟანრები, როგორებიცაა: ანდაზები და სიტყვის მასალები – რაც მათ დღევანდელ აქტუალურობაზე მიანიშნებს.

დამონებანი:

- “Andaza”. *Kartuli Polk'lori, IV*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba”, 1974 („ანდაზა“. *ქართული ფოლკლორი, IV*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974).
- Atasts'leuli Int'eriershi*. Tbilisi: gamomtsemloba „akhali Sakartvelo”, 2011 (*ათასწლეული ინტერიერში*. თბილისი: „ახალი საქართველო”, 2011).
- Bregadze, Levan. „Masalata K'rebulis...” *Kartuli Andazebis K'oleksiata Mnishvelobisatvis*. Tbilisi: GCLA Press, 2020 (ბრეგაძე, ლევან. „მასალათა კრებულის...” *ქართული ანდაზების კოლექციათა მნიშვნელობისათვის*. თბილისი: GCLA Press, 2020).
- Ch'elidze, Gizo. *Mtsire Zhanrebi. Gamotsana, „Kartuli Polk'lori”, XIV*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba”, 1965 (ჭელიძე, გიზო. *მცირე ჟანრები*. გამოცანა, „ქართული ფოლკლორი”, XIV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982).
- Chikovani, Mikheil. *Dzveli Kartuli Ts'erilobiti Tsnobebi Zep'irsitq'vieri Zhanrebi Shesakheb. Lit'erat'uruli Dzebiani, VIII*. Tbilisi: Sakartvelos sss metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1953 (ჩიქოვანი, მიხეილ. *ძველი ქართული წერილობითი ცნობები ზეპირსიტყვიერი ჟანრების შესახებ. ლიტერატურული ძიებანი, VIII*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953).
- Chubinashvili, Davit. *Kartuli Krest'omatia anu Gamok'rebilni Adgilebi Kartulta Ts'erilagan Davit Chubinovis Mier. Sankt'-P'et'erburgi: Tip. Imp. Akademii Naurk”, 1946* (ჩუბინაშვილი, დავით. *ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ*. სანქტ-პეტერბურგი: тип. имп. Академии Наукъ, 1846).
- Ertelishvili, Parnaoz. *Andazis Tsnebis Sak'itkhisatvis. Zhurn. „Mnatobi”, №3*. Tbilisi: gamomtsemloba „sakhelgami”, 1957 (ერთელიშვილი, ფარნაოზ. *ანდაზის ცნების საკითხისათვის*. ჟურნ. „მნათობი”, 3. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1957).
- Kurdovanidze, Teimuraz. *Kartuli Polk'lori*. Tbilisi: gamomtsemloba „merani”, 2001 (ქურდოვანიძე, თეიმურაზი. *ქართული ფოლკლორი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2001).
- Khalkhuri Sibrdzne, V*. Tbilisi: gamomtsemloba „nak'aduli”, 1965 (*ხალხური სიბრძნე, V*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1965).
- Sikharulidze Ksenia. *Andaza. Kartuli Khalkhuri P'oet'uri Shemokmedeba, I*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba”, 1964 (სიხარულიძე, ქსენია. *ანდაზა. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, I*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964).
- „Sitq'vis Masala”. *Kartuli Polk'lori, IV*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba”, 1975 („სიტყვის მასალა“. *ქართული ფოლკლორი, V*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975).
- Umik'ashvili, P'et're. *Kartuli Andazebi*. Tbilisi: Melikishvilisa da Amkh. st'amba, 1874 (უმიკაშვილი, პეტრე. *ქართული ანდაზები*. თბილისი: მელიქიშვილის და ამხ. სტ., 1876).

Zanduk'eli, Pikria. *Andazisa da Sit'q'vis Masalis Urtiertmimartebisatvis, Kartuli Polk'lori, I-II*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“, 1964 (ზანდუკელი, ფიქრია. ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთმიმართებისათვის, „ქართული ფოლკლორი“, I-II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964).

საარქივო მასალები

Shota Rustavelis Sakhelobis Kartuli Lit'erat'uris Inst'it'ut'is Polk'loris Arkivi: Saarkivo K'odi fa1k'1 (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი: საარქივო კოდი ფა1კ1).

სასარგებლო ბმულები

Kartuli Polk'loris Monatsemta Baza: <http://www.folktreasury.ge/ARPA/> (ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა: <http://www.folktreasury.ge/ARPA/>).

Marine Turashvili
(Georgia)

Some Issues of Contextual Research of Proverbs and Traditional Sayings (According to the Oral Histories)

Summary

Key words: Proverbs, Traditional Sayings, Oral Histories, Contextual Research, Archive Materials.

In oral histories important place is occupied by folklore genres such as legends, oral traditions, proverbs, aphorisms, traditional sayings, anecdotes, explanations, charms and so on-that are very popular among contemporary population who reveal great interest to them up today. During the research of the proverbs and traditional sayings we confront with certain problems as their allegorical meaning is not connected to a certain fact, accordingly for making sense of them it is necessary to investigate them in the context. Such opportunity was given in the oral histories. The topic of investigation of proverbs and traditional sayings became our aim during fieldwork when we discovered that population used it wide scale, especially aged people. Later when we started the study of the theoretical material on this topic we discovered that the problem was brought forward still in 1957 by folklorist Pikria Zandukeli. She marked that during fieldwork in Upper Imereti she could not find a narrator who managed to make a list of proverbs alike samples of other genres, though she had a chance to collect them when the narrator used them during narration for strengthening the facts throughout story telling. Hence it is clear that people used proverbs and traditional sayings for confirming and turning stronger their opinion in the context (Zandukeli 1964: 148-149). If we look through the history of investigation of proverbs we can discover diversity of researches. In 1953 prof. M. Chikovani in old Georgian literature discovered that the word “Proverb” was used in the meaning of “a short story” too. Parnaoz Ertelishvili took attention to the figurative meaning of proverbs (1957). On the problem of proverb a broad investigation was made by prof. Ksenia sikharulidze (1960).

In the Vth volume of the “Folk Wisdom” published in 1964 scientist L. Lejha-va divided proverbs into 8 groups: 1. Simple proverbs; 2. Proverbial expressions; 3 Aphorisms; 4. Proverbs; 5. Parables; 6. Proverbial sayings; 7. Blessing and cursing formulae; 8. Separate strophes from folk poetry.

Presented investigation gives the contextual analysis of proverbs and traditional sayings. Why these two? We think that it is difficult to mark out the boundaries of them as sometimes one part of a proverb is spread independently and is transformed into traditional saying. A proverb is a simple, one-sentence saying expressing perceived truth based on common sense or experience. If we run over the history of the topic we will have various pictures. That was the object of investigation of many scientists. Publication of proverbs started in XIX century. The first publication of proverbs is dated to 1846 in “Chrestomathy of Georgian Literature” by D. Chubinashvili. In 1876 P. Umikashvili published the collection of the Georgian proverbs. Presented investigation is based on the following academic publications: Folk Wisdom IV and Folk Literature II by P. Umikashvili. The texts for the comparative analysis were compared to the published materials and unpublished ones kept in the Data Base <http://www.folktreasury.ge/ARPA/>. Materials of the oral history were used from the collection of “Millennium in Interior” (2011) and video recordings of the folklore expedition (2009) kept in the Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature (Cipher FA1K1). The investigation includes published interviews, too. For the quantity of the material it was not possible to present the whole data, though wide chapter will be published in the doctoral dissertation. As we see the material recorded from the oral histories is significant from the point of view of observing the proverbs in the context, the method of investigation is novelty. We don't share the opinion that a proverb has a petrified form, investigating them in the oral histories we see that they are varied. Traditional sayings are part of them and are often called witticisms. In her investigation “On the Relationship Between Proverbs and Traditional Sayings” Pikria Zandukeli considers that a proverb is a complete sentence and the traditional saying is its part. Other difference between them is that a proverb is multinumbered logically, while a traditional saying is one-numbered. The third difference is following-traditional saying is lacking complete skill of discussion. Investigation revealed that proverb and traditional saying is widely used in conversation for turning stronger and firmer a certain idea, opinion (Zandukeli 1964).

Folklorist G. Chelidze took attention to the specific features of proverbs: laconicism, expressiveness and one planess. Scientist T. Kurdovanidze marked out oppositional pairs in proverbs. Scientist L. Bregadze studied the Georgian proverbs published in 1881-1913 and dedicated a broad research to them.

Respondents talking on social, cultural, traditional, religious and philosophical topics used correctly corresponding proverbs and traditional sayings. There was also revealed variational diversity. Thus the material under investigation showed that proverbs and traditional sayings are closely connected to the way of life up today not losing topicality.